

სავალუტო გარიგების მომსახურების სტანდარტული წესები და პირობები

სს მისო „ინტელექსპრესი“ (შემდგომში ბაზრის მონაწილე) ხელმძღვანელობს სავალუტო ბაზარზე საქმიანობის წესით და FX გლობალური კოდექსით ("FX კოდი"). ეროვნული ბანკის წესი სავალდებულოა ბაზრის იმ მონაწილეთათვის, რომლებიც ბლუმბერგის სავაჭრო პლატფორმაზე ვაჭრობენ ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, მათ შორის კლიენტის დავალებით Bmtch პლატფორმაზე განაცხადების დადების შემთხვევაში. მართალია FX კოდექსი არ არის იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე ინსტრუმენტი, მაგრამ წარმოადგენს მისაღები ქცევის სტანდარტების ერთობლიობას, რომელიც ხელს უწყობს, ეფექტური, სამართლიანი, ღია და სათანადო გამჭვირვალე ბაზრის განვითარებას. ბაზრის მონაწილეები მოქმედებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მხარს უჭერენ ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკებს, მათ შორის FX კოდექსში მოცემულ მეთოდებს.

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება 2020 წლის 21 ივლისის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №142/04 და N141/04 ბრძანებებს და წარმოადგენს სს მისო ინტელექსპრესსა და კლიენტს შორის სავალუტო ბაზარზე არსებული ძირითადი სავაჭრო მომსახურების სტანდარტულ პირობებს. ამასთან წინამდებარე დოკუმენტში არსებული სტანდარტული პირობები შესაძლებელია ცალმხრივად შეიცვალოს საქართველოს კანონმდებლობით და/ან ორგანიზაციის შიდა პოლიტიკის შესაბამისად სს მისო ინტელექსპრესის მხირდან, რომელიც განთავსდება კომპანიის ვებგვერდზე. სს მისო ინტელექსპრესის მოთხოვნით სს მისო ინტელექსპრესსა და კლიენტს შორის შეიძლება უშუალოდ გაფორმდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ მომსახურებებზე შეთანხმება. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით.

1. გამოყენებული ტერმინები.

- 1) **განაცხადი** - სავალუტო გარიგების დასადასტურებლად ამ პირობებით დადგენილი წესით კლიენტის მიმართვა/დავალება ბაზრის მონაწილისადმი, რომელშიც მითითებულია კონკრეტულ სავალუტო გარიგებასთან დაკავშირებით ინფორმაცია;
- 2) **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/პროდუქტებით;
- 3) **საქართველოს ეროვნული ბანკი** - ბაზრის მონაწილის საზედამხედველო ორგანო (www.nbg.ge) ამასთან საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი ბაზრის მონაწილის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე;
- 4) **საბანკო დღე** - კალენდარული დღე, შაბათ-კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა, როდესაც ბანკი ღიაა და წარმართავს ჩვეულებრივ საბანკო საქმიანობას;
- 5) **სავალუტო ბაზარი** - სისტემებისა და წესების ერთობლიობა, რომლის მეშვეობით სავალუტო ბაზრის მონაწილეები რეგულარულად დებენ სავალუტო გარიგებებს;
- 6) **სავალუტო გარიგება** - ბაზრის მონაწილის მიერ კლიენტთან ან/და სავალუტო ბაზრის სხვა მონაწილესთან ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებით დადებული ნებისმიერი გარიგება;
- 7) **სავალუტო სვოპი** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ერთდროულად ყიდვა და გაყიდვის შესრულებაზე, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, სხვადასხვა ანგარიშსწორების თარიღებზე. სავალუტო სვოპის გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;

- 8) **სავალუტო ფორვარდი** - წინამდებარე პირობებით განსაზღვრული წესით მხარეთა შეთანხმება ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე მომავალში, წინასწარ შეთანხმებული გაცვლითი კურსით, წინასწარ შეთანხმებულ თარიღზე/თარიღამდე. ფორვარდული გარიგების შესრულება კონკრეტული თარიღისთვის სავალდებულოა;
- 9) **უცხოური ვალუტა** - ნებისმიერი ქვეყნის, გარდა საქართველოს, ოფიციალური ფულადი ერთეული;
- 10) **წინარე ჰეჯირება** – სავალუტო პოზიციის გახსნა ან სხვაგვარი ისეთი ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც უკავშირდება კლიენტის მოსალოდნელ დავალებას და რომელიც მიზნად არ ისახავს კლიენტისთვის მდგომარეობის გაუარესებას და არ იწვევს სავალუტო ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას.

2. ბაზრის მონაწილის როლი მომხმარებლებთან მიმართებაში:

2.1. ბაზრის მონაწილე მომხმარებლებთან/კლიენტთან, მიმართებაში შეიძლება მოქმედებდეს როგორც: 1) პრინციპალი მოვაჭრის ან 2) აგენტი მოვაჭრის სტატუსით. გარიგების დადების დროს, ბაზრის მონაწილე არ მოქმედებს, როგორც კლიენტის ნდობით აღჭურვილი პირი ან მრჩეველი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეებს შორის ასეთი სახის ურთიერთობა წინასწარ არის შეთანხმებული წერილობით .

2.2. ნებისმიერი დადებული გარიგება, ხორციელდება იმ დაშვებით, რომ კლიენტს შეუძლია იმოქმედოს დამოუკიდებლად და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცოდნის, გამოცდილების და მესამე მხარეთა პროფესიონალური რჩევების საფუძველზე.

3. კლიენტთან კომუნიკაცია:

3.1. ბაზრის მონაწილე კლიენტს შესაძლებლობას აძლევს დადოს სავალუტო გარიგებები / დავალებები მასთან შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით: ელ.ფოსტით ან სიტყვიერად(ტელეფონით). კანონის შესაბამისად, ბაზრის მონაწილე შეინახავს სატელეფონო საუბრებსა და ელექტრონულ კომუნიკაციას, რომლებიც დაკავშირებულია და/ან შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სავალუტო გარიგებების და განაცხადის დადებასთან და/ან შესრულებასთან.

3.2. ბაზრის მონაწილეს კლიენტთან კომუნიკაციისას შეუძლია გააცნოს მას ბაზრის ზოგადი ტენდენციები, მიაწოდოს სავალუტო ბაზარზე არსებული ზოგადი ინფორმაცია, კონფიდენციალურობის დაცვით, რაც არ იძლევა კონკრეტული სუბიექტის ან კონკრეტული გარიგების იდენტიფიცირების საშუალებას.

3.3. ბაზრის მონაწილე კლიენტთან კომუნიკაციისას ვალდებულია მას მიაწოდოს ინფორმაცია წინარე ჰეჯირებისა და მასთან ასოცირებული რისკების შესახებ, აგრეთვე იმ მატერიალური სარგებლის შესახებ, რომელიც შესაძლებელია კლიენტმა ამ ქმედებით მიიღოს. წინარე ჰეჯირებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ფასზე, რომელიც ბაზრის მონაწილეს შეუძლია რომ შესთავაზოს კლიენტს ტრანზაქციისთვის დავალების შესასრულებლად არსებულ ლიკვიდობის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება ბაზრის მონაწილეს ან დამატებითი შემოსავალი მოუტანოს ან აზარალოს.

3.4.კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილესთან სავალუტო გარიგებების დადება არ უზღუდავს კლიენტს არც გარიგების დადების მომენტში და არც მის შემდეგ იგივე მომსახურება მიიღოს ბაზრის სხვა მონაწილისგან.

3.5.აგენტის როლში კლიენტთან ურთიერთობისას, დავალების მიცემის (order) ან გარიგების პირობების შეთავაზების (request for quote) მოთხოვნის გაგზავნის მომენტსა და იმ პერიოდს შორის, როდესაც მიღება დადასტურდება ბაზრის მონაწილის მიერ, კლიენტი არის იმ რისკის წინაშე, რომ მისი შეკვეთის ან ვაჭრობის მოთხოვნა შესაძლოა მთლიანად არ შეივსოს (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ ბაზარზე ცვლილება მოხდა კლიენტის სასარგებლოდ), ან შეიძლება შევსებული იყოს ნაკლებად ხელსაყრელ დონეზე, რადგან დროის ამ შუალედში შეიცვალა ბაზარზე არსებული მდგომარეობა.

3.6.კლიენტი უფლებამოსილია:

ა) ბაზრის მონაწილესთან გარიგება დადოს როგორც კონტრაქტმა, მოითხოვოს ფასები და შეათანხმოს სასურველი პირობები.

ბ) მისცეს ბაზრის მონაწილეს დავალება მისი გარიგება დადოს ბაზარზე (მათ შორის Bmatch პლატფორმაზე).

პირველ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე გამოდის როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ხოლო მეორეში როგორც აგენტი მოვაჭრე.

4.ბაზრის მონაწილე, როგორც „პრინციპალი მოვაჭრე“.

4.1.კლიენტი უფლებამოსილია, სავაჭრო მოთხოვნა განათავსოს ბაზრის მონაწილესთან, როგორც კონტრაგენტმა, მოითხოვოს გარიგების კურსი და შეათანხმოს სასურველი პირობები. ასეთ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე მოქმედებს როგორც პრინციპალი მოვაჭრე.

4.2.ვალუტით ვაჭრობა შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, მათ შორის Bloomberg-ის RFQ - ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით. ბაზრის მონაწილე ვალდებულია, დაიცვას კლიენტთან შეთანხმებული პირობები, თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობით ვაჭრობის ზოგად წესებს, წინამდებარე დოკუმენტის დადგენილ პირობებსა და ელექტრონული პლატფორმის ფუნქციონირებას.

5.კლიენტის დავალებით ვაჭრობის პირობები, „აგენტი მოვაჭრე“, BMatch პლატფორმა.

5.1.კლიენტი უფლებამოსილია, მისცეს ბაზრის მონაწილეს დავალება, რათა მისი გარიგება დაიდოს ბაზარზე (მათ შორის Bmatch პლატფორმაზე). ასეთ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე მოქმედებს როგორც აგენტი მოვაჭრე.

5.2.ბლუმბერგის სავალუტო სავაჭრო პლატფორმა BMatch-ი არის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამჭვირვალობას და ლიკვიდობას სავალუტო ბაზრებზე. სისტემა ბაზრის მონაწილეებს ეხმარება, როგორც საბაზრო ფასების დადგენაში, ასევე ვაჭრობის

განხორციელებაში, ხოლო გარიგების ყველა დეტალი მხარეებს შორის, ელექტრონულად ხორციელდება რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით.

5.3. კლიენტის მიერ ვალუტით ვაჭრობის შესახებ ბაზრის მონაწილესთან დავალების გაგზავნა ხორციელდება დისტანციურად: მხარეებს შორის შეთანხმებულ ელ. ფოსტის მეშვეობით. სადაც კლიენტი ვალდებულია მიუთითოს, გარიგების ოდენობა (თანხა, ვალუტა) და სასურველი კურსი.

5.4. დავალების მიცემისას კლიენტმა მკაფიოდ უნდა მიუთითოს, რომ სურს მისი დავალება Bmatch-ზე განთავსება. ამასთან, ვალდებულია მიუთითოს თანხა (ოდენობა და ვალუტა) და სასურველი კურსი. ბაზრის მონაწილე განაცხადის პირობებს შეთანხმების გარეშე არ ცვლის კლიენტისგან განახლებული ინსტრუქციების მიღებამდე.

5.5. მიღების გარიგების აღსრულების პირობები:

- მინიმალური მოცულობა შეადგენს 100 000 აშშ დოლარს ან შესაბამის ლარს, ბიჯი 10 000 აშშ დოლარი ან შესაბამისი ოდენობის ლარი.
- განაცხადის წარდგენის მომენტში ბაზრის მონაწილის ანგარიშზე ან სალაროში კლიენტი ვალდებულია განათავსოს გარიგების ანგარიშსწორებისათვის და ოპერაციის აღსრულებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო საკომისიო ოდენობის საკმარისი თანხა.
- ბაზრის მონაწილე, კლიენტის დავალების მიღებისას, სავაჭრო სისტემაში არეგისტრირებს განაცხადს, რომელიც სრულად ასახავს კლიენტის დავალებაში მითითებულ მონაცემებს და კლიენტს ელ. ფოსტით, დაუყოვნებლივ აწვდის ინფორმაციას აღნიშნული განაცხადის სტატუსის შესახებ.
- B-match პლატფორმაზე კლიენტის დავალება ბაზრის მონაწილის მიერ მიღებულად ითვლება, მხოლოდ მას შემდეგ რაც ბაზრის მონაწილე დავალებას განათავსებს B-match პლატფორმაზე და აღნიშნულის შესახებ აცნობებს კლიენტს.
- კლიენტისთვის ცნობილია, რომ სავაჭრო სისტემა უზრუნველყოფს სისტემაში არსებული გარიგებების ავტომატურ დაწყვილებას (მეჩინგს) და იმ შემთხვევაში, თუ სავაჭრო სისტემის სხვა მონაწილის მიერ შეთავაზებული ვალუტის კურსი დაემთხვევა, კლიენტის დავალებაში მითითებულ ოდენობას, გარიგება დაიდება.
- BMatch პლატფორმაზე დადებული გარიგებები საბოლოოა და ექვემდებარება სავალდებულო აღსრულებას. კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილესთან გარიგების დადების შემდეგ, შესაძლებელია ბაზარზე მოხდეს კურსის ცვლილება, თუმცა ეს არ შეიძლება გახდეს გარიგების გაუქმების საფუძველი. გამონაკლის შემთხვევებში გარიგების პირობების ცვლილება ან გარიგების გაუქმება შესაძლებელია გარიგების ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში. ასეთ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია განსაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაძლო ზარალის ანაზღაურების საკითხები.
- ბაზრის მონაწილის მიერ დავალებები აღსრულდება სამართლიანობისა და გონივრულობის პრინციპით, იმ მომენტისთვის ბაზარზე მოქმედი წესებისა და პირობების, ასევე ამ დოკუმენტითა და კლიენტთან გაფორმებული შეთანხმებებით დადგენილი პირობებიდან შესაბამისად;
- სავალუტო ვაჭრობის პროცესში, შესაძლებელია გარიგება შესრულდეს სრულად ან ნაწილობრივ, რის თაობაზეც კლიენტს ეცნობება დაუყოვნებლივ ხოლო შეუსრულებელი ნაშთი დაუბრუნდება მის კუთვნილ ანგარიშზე მხარეთა წინასწარი შეთანხმების შესაბამისად.

6. ბაზრის მონაწილის მარჟა.

ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია, ვაჭრობის მოცულობის საფუძველზე მიაწოდოს კლიენტებს კონკრეტული კატეგორია და დააწესოს მარჟის ლიმიტი FX Spot- ისა და FX Forward- ული გარიგებების დროს ინდივიდუალურად, მინიჭებული კატეგორიების გათვალისწინებით.

7. გარიგების აღსრულება.

7.1. ბაზრის მონაწილე, კლიენტთან დავალების დადებისას, მოქმედებს სამართლიანად და გამჭვირვალედ, რაც მათ შორის მოიცავს სავალუტო გარიგების დადების დროულ/სწრაფ უზრუნველყოფას, დადასტურებასა და ანგარიშსწორებას, კლიენტის კონკრეტული დავალების სპეციფიკის გათვალისწინებითა და წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

7.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება ხორციელდება, მათ შორის დადებული გარიგების პირობების შესაბამისად, გარიგებაში მითითებულ ანგარიშსწორების დღეს.

7.3. Bmatch პლატფორმის მეშვეობით დავალების შესრულებისას ანგარიშსწორება განხორციელდება T+1 პრინციპით, კერძოდ, გარიგების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, კლიენტის დავალებით მოთხოვნილი კურსით კონვერტირებული თანხა დაუბრუნდება კლიენტს მის კუთვნილ - ანგარიშზე არაუგვიანეს გარიგების დადების დღის მომდევნო დღისა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მომდევნო დღე არის შაბათი, კვირა ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დასვენების დღეები. ასეთ შემთხვევაში, ოპერაცია დასრულდება აღნიშნული დღეების მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ფასდადების პოლიტიკა, სამართლიანი ფასები.

8.1. კლიენტისა და ბაზრის მონაწილის ურთიერთობა წესრიგდება ბაზრის მონაწილის მიერ წინასწარ შეთავაზებული ტარიფებითა და კლიენტთან დადებული ორმხრივი შეთანხმების მიხედვით.

8.2. ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე დოკუმენტით, ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები (დამატებები) მომსახურების ტარიფებში, რის შესახებაც ბაზრის მონაწილე კლიენტის ინფორმირებას ახდენს წინასწარ მხარეთა შორის დადგენილი წესის და/ან შესაბამის კომპანიის საიტზე განთავსებით.

8.3. **Bmatch პლატფორმაზე დავალების მიცემის ფასი არის ერთიანი განურჩევლად კლიენტისა, ფიქსირებული რაც შეადგენს:**

განაცხადის მიღების საკომისიო	50 ლარი.
განაცხადის ცვალილების საკომისიო	50 ლარი;

განაცხადის გაუქმების საკომისიო	50 ლარი;
ანგარიშსწორების საკომისიო	0.2%.

8.3. კლიენტი ვალდებულია სავალუტო გარიგების დავალების/განაცხადის მიღების საკომისიო გადაუხადოს ბაზრის მონაწილეს მიუხედავად იმისა შესრულდება თუ არა აღნიშნული დავალება/განაცხადი.

8.4. როგორც პრინციპალი მოვაჭრე, ფასდადებისას, ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, როგორც არის ბაზარზე ტრანზაქციის ტიპის ლიკვიდობა, გარიგების მოცულობა ან/და სირთულე, საკრედიტო ხარჯები, კაპიტალი, რისკის ლიმიტი, ვაჭრობის საპროცესო ხარჯები და სხვა რელევანტური საკითხები. ვინაიდან ეს ფაქტორები შეიძლება განსხვავდებოდეს, ბაზრის მონაწილე უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს განსხვავებული ტარიფები იმავე ან/და მსგავსი სავალუტო გარიგების დროს.

8.5. RFQ პლატფორმაზე დავალების მიცემის ფასი შეადგენს:

გარიგების თანხას +/-	5 - 50 bps
ანგარიშსწორების საკომისიო	0.2%.

9. დასკვნითი დებულებები.

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დავის გადაწყვეტელობის შემთხვევაში კი დავას განიხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი სტანდარტული პირობების დარღვევის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში კლიენტი უფლებამოსილია, მიმართოს:

- ბაზრის მონაწილის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს სერვისცენტრებში წერილობითი განცხადებისთვის
- სატელეფონო ნომრის **მეშვეობით: 032 2 49 25 25**.
- მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკს ცხელ ხაზზე - 032 2 406 406. 8.4.

9.3. კლიენტი თანახმაა, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში მნიშვნელოვან საკითებზე შეთანხმების დროს, ბაზრის მონაწილე დაეყრდნოს მხარეებს შორის სატელეფონო შეტყობინებებს წინასწარ განსაზღვრულ შესაბამის ნომერებზე. სადავო საკითხების წარმოშობის შემთხვევაში, კლიენტის მიერ ბაზრის მონაწილისათვის ზეპირი დავალებების არსებობისას, ასეთი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მტკიცებულებად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები წინამდებარე სტანდარტულ პირობების გაცნობით, თანხმდებიან და აცხადებენ უპირობო თანხმობას, რომ არ შეუშლის ხელს ასეთი ჩანაწერების გამოყენებას სადავო საკითხების გადაწყვეტის

პროცესში და რომ დავების დარეგულირების დროს ასეთი ჩანაწერები გამოყენებული იქნება, როგორც მათი პოზიციების ობიექტური მტკიცებულება. მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლოა განხორციელდეს ჩანაწერის ნამდვილობის შესახებ ექსპერტიზა.